ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №2

ლანჩხუთი **17.03.2022 წელი**
12.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ია მოქია, კარლო წილოსანი, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, მაკა მშვიდობაძე.

არ ესწრებოდა: საპატიო მიზეზით - კახაბერ ასკურავა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი,ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: საკითხი: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის,სკოლის სამეურვეო საბჭოს დაადმინისტრაციის ერთეულში 326 კაცის მომართვის,სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე კომისიამ მოამზადა განკარგულების პროექტი გაიცეს თანხმობა, რომ სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლას მიენიჭოს საქართველოს მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტან გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელი. სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი,ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგანკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ სამთავრობო კომისიის ოქმში აღნიშნულია, რომ დამისამართების არსებული პრაქტიკით ჩიხი იმეორებს ქუჩის სახელწოდებას, ამდენად სახელის გადარქმევის მიზნით ჩიხს უნდა მიენიჭოს ქუჩის სტატუსი. კომისიის წევრებმა ,შესაბამისი სამთავრობო კომისიის რეკომენდაციის თანახმად მიზანშეწონილად ჩათვალეს ქუჩის სტატუსის შეცვლა და ამ ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ მან აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში“განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, შესაბამისად საკრებულოს რეგლამენტი საჭიროებს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამართლებრივი და ტექნიკური თვაკლზარისით დახვეწას .კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა,რომ ჩვენს შემთხვევაში შემთხვევაში საფუძვლად აღებული გვაქვს 2018წლის 30მარტის დადგენილებით მიღებული რეგლამენტი აღნიშნული რეგლამენტის 130 მუხლიდან ცვლილებები განხორციელდა 22 მუხლში. მან დაწვრილებით მიმოიხილა ყველა ის ცვლილება რომელიც გაწერილია დადგენილების პროექტში. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მხოლოდ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტმა-სადეპუტატო უფლებამოვალეობის განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხის შესახებ (680ლარი).

საკრებულოს რეგლამენტი არის სახელმძღვანელო, საკრებულოს სამუშაო პროცესის წარსამართად, მასში ცვლილებების განხორციელებისას კი განსაკუთრებული ყურადღება არის საჭირო. მან ასევე აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე დეპუტატებს დაურიგდათ რეგლამენტის პროექტი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად ეხება პირველი მოადგილის ინსტიტუტის შემოღებას, დეტალურად გაიწერა ფრაქციის უფებამოსილებები, ასევე მოხდა ოპოზიციის და უმრავლესობის ცნების ასახვა რეგლამენტში. გარდა ამისა, სამართლებრივად დაემატა საქმისწარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის რეგულაციები. აღნიშნა, რომ სადეპუტატო ხარჯი განისაზღვრა 680 ლარით, დაინტერესდა კომისიის წევრების მოსაზრებით ამ საკითხთან დაკავშირებით. დარეჯან ბურჭულაძემ გამოთქვა მოსაზრება რომ შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს გარკვეული რაოდენობით საწვავით უზრუნველყოფა რიგითი საკრებულოს წევრებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 5, თავი შიკავა 1(მაკა მშვიდობაძე)

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

4 სხვადასხვა საკითხები:

1ია მოქიას მიერ კიდევ ერთხელ დაისვა სუფსა-წყალწმინდის დამაკავშირებელი გზის პრობლემა.

2 კომიიის წევრებმა დააყენეს საკითხი, იმის შესახებ რომ დროულად მოხდეს მერიის სამსახურების მისამართით გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ინფორმაციის მოწოდება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა №2

ლანჩხუთი 17. 03. 2022 წელი

2022 წლის 17 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს კომისიამ მხარი დაუჭირა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

17.03.2022 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11.55.	
2	ია მოქია	11:55	
3	კახაბერ ასკურავა	— [illegible]	
4	მაკა მშვიდობაძე	11:55	
5	კარლო წილოსანი	11:58	
6	ნინო მშვიდობაძე	11:55	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	